შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№44 (10.099)

25 ნოემბერი-2 დეკემბერი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საქართველოს დელეგაცია კახში

23 ნოემბერი ქართველი მართლმადიდებლებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაული – წმინდა დიდმოწამე გიორგი კაბადოკიელის ბორბალზე წამების დღეა. წმინდა გიორგი საქართველოსთვის დიდი დატვირთვის მატარებელი სიმბოლოა და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

რამდენიმე წელია, ტრადიციად დამკვიდრდა ამ დღის აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში მცხოვრებ თანამემამულეებთან ერთად აღნიშვნა. ტრადიცია არც წელს დაირღვა - 120 წევრიანი დელეგაცია საქართველოს საპატრიარქოს, მუსლიმთა სამმართველოს, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს საკრებულოსა და მერიის, რელიგიის სააგენტოს წარმომადგენელთა შემადგენლობით, კახის რაიონში ჩავიდა.

დელეგაციის წევრებმა, რომელთა შემადგენლობაშიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი**, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები შედიოდნენ, ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას ესტუმრნენ. ეს ეკლესია ძველი მართლმადიდებლური ძეგლია და ის წმინდა სალოცავია როგორც ქრისტიანებისთვის, ასევე მუსლიმებისთვის.

დელეგაციის წევრები კახის წმინდა გიორგის ეკლესიას ეწვივნენ, სადაც საღღესასწაულო პარაკლისი ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, ხორნაბუჯის, ჰერეთის და ნეკრესის ეპარქიის დროებითმა მმართველმა, **თეოდორემ (ჭუაძე)** აღავლინა. წირვის დასრულების შემდეგ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, **ზაზა ვაშაყმაძემ** და სააგენტოს თანამშრომლებმა კახში მცხოვრებ მართლმადიდებლებს საჩუქრად 150 ბიბლია გადასცეს.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს პარლამენტის წევრები გურამ მაჭარაშვილი და ბადრი ბერიანიძე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, კარლო ჯამბურია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საქართველოს საგანგებო და სრულფლებიანი ელჩი აზერბაიჯანში, ზურაბ პატარაძე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ზაზა ვაშაყმაძე, რელიგიის საagენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დავით დავითაშვილი, უფროსი სპეციალისტი, ავთანდილ კვერნაძე, იურისტი ალექსანდრე შეყილაძე, მენეჯერი ლაშა მჭედლიძე და სააგენტოს თანამშრომელი ვაჟა ართმელაძე.

პრემიერი-საქართველოს და აზერბაიჯანს აქვთ დიდი პოტენციალი ევროპას მიაწოდონ მწვანე და განახლებადი ენერგია

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანში იმყოფება. ილჰამ ალიევთან ერთად გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს გააჩნიათ დიდი პოტენციალი ევროკავშირს მიაწოდონ განახლებადი ენერგია.

„ჩვენ თქვენთან ერთად გვაქვს განხორციელებული ისტორიული მნიშვნელობის პროექტები, რამაც კიდევ უფრო მეტად დააკავშირა ჩვენი ერები კიდევ უფრო მეტად გახადა ურთიერთდამოკიდებულები, რომელიც საუკუნეები გასტანს. ჩვენ არაერთხელ გვიხსენებია ის ისტორიული მნიშვნელობის პროექტები, რომელიც განხორციელებულია და რომელიც წარმატებით მუშაობს. საქართველო ძალიან სანდო სატრანზიტო პარტნიორი ქვეყანაა ამ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისთვის. ჩვენ ვმუშაობთ, არ ვჩერდებით. ვმუშაობთ ახალ ინიციატივებზე, ისეთი, მაგალითად როგორიცაა შავი ზღვის ელექტროკაბელი, იმისთვის, რომ განვავითაროთ ე.წ მწვანე კორიდორი. საქართველოს და აზერბაიჯანს აქვს დიდი პოტენციალი, რომ მიაწოდოს ევროპას მწვანე, განახლებადი ენერგია, რაც რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის პერსპექტიული, ეს არის მომავალი და ამ მიმართულებით ჩვენ, ორივე ქვეყანამ მეტი ინვესტიცია უნდა ჩავდოთ და სწორედ ამ საკითხებზეც გვქონდა ჩვენ საუბარი,"- განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გუშინ, შავი ზღვის კაბელის პროექტთან დაკავშირებით თბილისში საქართველოს; აზერბაიჯანის; რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც ასევე ევროკავშირის ელჩი და მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი ესწრებოდნენ.

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს და რუმინეთის გადამცემი სისტემის ოპერატორების „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" და „ტრანსელექტრიკას" ხელშეწყობით განხორციელდება. 2022 წლის 17 დეკემბერს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოს, რუმინეთის და უნგრეთის მთავრობებს შორის ხელი მოეწერა სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმებას, მწვანე ენერგიის განვითარების და გადაცემის შესახებ. შეთანხმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი წარმოადგენდა - პროექტის განხორციელების შემთხვევაში, 1 195 კილომეტრის სიგრძის კაბელი რუმინეთს დაუკავშირდება (1100 კმ წყალქვეშა და 95 კმ სახმელეთო კაბელი), რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ვაჭრობა.

ამ ეტაპზე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" საკონსულტაციო კომპანია CESI-ს დახმარებით ახორციელებს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას. სამომავლოდ, პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდება გარემოზე და სოციალურ ზემოქმედების შეფასებისა და შავი ზღვის ფსკერის გეოფიზიკური და გეოტექნიკური კვლევები. მათი მეშვეობით დადგინდება პროექტის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები და საუკეთესო გზები. კომიტეტი განიხილავს CESI-ს მიერ მომზადებულ პრეზენტაციას, რომელიც ასახავს მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობებს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის ფარგლებში.

მთავრობა სოფლის მეურნეობის განვითარების მარეგულირებელ სპეციალურ კანონპროექტზე მუშაობს

მთავრობა სოფლის მეურნეობის განვითარების მარეგულირებელ სპეციალურ კანონპროექტზე მუშაობს, რომელიც დღის შუქს უახლოეს ხანებში იხილავს.

როგორც Business Insider Georgia-სთან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ განაცხადა, მსგავსი კანონმდებლობა ევროკავშირის ყველა ქვეყანას აქვს და ის დაარეგულირებს გარკვეულ საკითხებს სოფლის მეურნეობის და ასევე სოფლის ნაწილში.

„ჩვენ არ გაქვს სოფლის მეურნეობის სექტორში ჩარჩო მარეგულირებელი კანონი, როგორიც არის იგივე ევროკავშირის ქვეყნებში. და სწორედ ასეთი კანონპროექტის შექმნაზეა საუბარი, რომელიც გარკვეულ საკითხებს დაარეგულირებს სოფლის მეურნეობის და ასევე სოფლის ნაწილში. საუბარია კანონპროექტზე სოფლის და სოფლის მეურნეობის შესახებ. დანარჩენ დეტალებზე მალე გვექნება საუბრის საშუალება", — აღნიშნა მინისტრმა.

2022 წელს ნარჩენებით გარემოს დაბინძურების 2 722 ფაქტი გამოვლინდა — საქსტატი

2022 წელს საქართველოში გარემოს დაცვის სფეროში 12 342 სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა, — ამის შესახებ აღნიშნულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მომზადებულ პუბლიკაციაში „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა".

საქსტატის თანახმად, ყველაზე მეტი, 2 722 კანონსაწინააღმდეგო ქმედება ნარჩენებით გარემოს დაბინძურებას ეხებოდა.

2022 წელს გარემოს დაცვის სფეროში გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა, დარღვევის სახეების მიხედვით:

ნარჩენებით გარემოს დაბინძურება — 2 722 ფაქტი;
ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის დარღვევა — 1 858 ფაქტი;
ხე-ტყის უკანონო ჭრა — 1 811 ფაქტი;
ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევა — 1 300 ფაქტი;
სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა — 791 ფაქტი;
წიაღის უკანონო მოპოვება — 758 ფაქტი;
ნადირობის წესების დარღვევა — 578 ფაქტი;
თევზჭერის წესების დარღვევა — 525 ფაქტი;
მიწის კანონმდებლობის დარღვევა — 397 ფაქტი;
წყლის კანონმდებლობის დარღვევა — 368 ფაქტი;
ნებართვის პირობების დარღვევა/უნებართვო საქმიანობა — 367 ფაქტი;
სხვა დარღვევები — 867 ფაქტი.

აფხაზი თავადების არქივები საქართველოში ბრუნდება

„გილოცავთ ეპოქალური საქმის დასაწყისს!

აფხაზი თავადების არქივები საქართველოში ბრუნდება!

ეს ჰელენ ჩხოტუაა, უჭკვიანესი და ულამაზესი ქალი. ჩვენი მასპინძელი და უკვე მეგობარი. ჩხოტუების - დიდი აფხაზების, მალტის ორდენის კავალერების და მსოფლიო პოლიტიკის მონაწილეების მემკვიდრე. მან საქართველოს უდიდესი, ისტორიული არქივი გადასცა:

საერთაშორისო მნიშვნელობის საბუთები, ხელნაწერები, მიმოწერა, ფოტოები, წიგნები, ნივთები, ორდენები, რუკები - მოკლედ, საოცარი საგანძური, მალე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის მუზეუმში დაიდებს ბინას.

სამი დღეა, არქივების გადარჩევის ურთულესი პროცესი მიმდინარეობს, რომელსაც ეროვნული ბიბლიოთეკიდან თქვენი მონა-მორჩილი, ლევან თაქთაქიშვილი, ბექა ღაჟონია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან მანანა ქვაჩახია, ნატო მარშანია და საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ნინო ჩუტკერაშვილი ვუძღვებით. მასალა ათობით ყუთს მოიცავს, დღესაც ვიმუშავებთ, ხვალ ჯგუფი მადრიდში გაემგზავრება, მე კი სამშობლოში დავბრუნდები.

პროექტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ არის ინიცირებული და პერსონალური მადლობა რუსლან აბაშიძეს, რომელთან ერთადაც ამ დიდ არქივს გავხსნით და გამოვფენთ საქართველოში ძალიან მალე. მალე ერთობლივ მემორანდუმს გავაფორმებთ და სხვა არქივებზე დავიწყებთ მუშაობას"-წერს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, რომელიც ამჟამად ესპანეთში იმყოფება.

მედიკამენტები, რომელზეც ფასი საშუალოდ 40%-ით შემცირდება

წამლების ჩამონათვალი, რომელზეც რეფერენტული ფასი მოქმედებს, კიდევ გაფართოვდა. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტრომ, მედიკამენტზე ფასის ზედა ზღვარი, ჯამში, 3 200-ზე მეტ მედიკამენტზე განისაზღვრა.

უფრო კონკრეტულად, ცვლილების მიხედვით, სახელმწიფომ, წამლის ღირებულების ის მაქსიმალური ზღვარი დაადგინა, რომელზე მაღალ ფასადაც მედიკამენტების რეალიზაცია აიკრძალა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ცვლილება მედიკამენტების ფასს, საშუალოდ, 40%-ით შეამცირებს.

-0:09

ამასთან, რეფერენტული ფასწარმოქმნის მექანიზმი ქრონიკულ, ონკოლოგიურ, ანტიჰიპერტენზიულ, ანტიკოაგულაციურ, ანტიჰისტამინურ, ანთების საწინააღმდეგო, ფსიქოლეფსიურ, კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე მოქმედ, ტკივილგამაყუჩებლებსა და ანტიბიოტიკებზე მოქმედებს.

აღნიშნულ მედიკამენტებს შორის არის: "იბუპროფენი", "გლემპიდი", "ნეიროლე", "სტიმულო", "ბისოპროლი" და სხვა.

წარმატებული ახალგაზრდები დაჯილდოვეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მაკა ჯანაშვილი მუნიციპალიტეტის ოქროსმედალოსან და ვერცხლისმედალოსან ახალგაზრდებს შეხვდნენ.

წახალისების მიზნით, წარმატებულ ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისგან 400 და 500 ლარის ოდენობით ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცათ. ინიციატივა კახეთის სახელმწიფო რწმუნებულს, გიორგი ალადაშვილს ეკუთვნის და ის გასული წლიდან ხორციელდება.

შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მედალოსნებს ახალგაზდულ საბჭოში გაერთიანება და აქტიური თანამშრომლობა შესთავაზა.

„მუნიციპალიტეტის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა ყველას შეუძლია . განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრებების მოსმენა და გათვალისწინება, რადგან მომავალში თქვენ, ახალგაზრდებმა, უნდა მართოთ ჩვენი ქვეყანა და მუნიციპალიტეტი. ამიტომაც გამოვდივარ ინიციატივით, შევქმნათ ახალგაზრდული საბჭო, სადაც თქვენ, მუნიციპალიტეტის სხვა ახალგაზრდებთან ერთად აქტიურად ითანამშრომლებთ"-განაცხადა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

სამრეკლოს სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. პროცესი წელიწადზე მეტ ხანს უნდა გაგრძელდეს. შენობის კეთილმოწყობამდე სასწავლო პროცესი, დროებით, ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის შენობაშია გადატანილი. სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები მეორე ცვლაში, საღამოს საათებში იმუშავებენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დედოფლისწყაროში სკოლების მშენებლობის ნამდვილი ბუმია. ჩვენი რაიონის ისტორიაში საგანმანათლებლო კერებში ამ მასშტაბის სამუშაოები არასოდეს ყოფილა. ამ ეტაპზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 7 სკოლაში მიმდინარეობს. ახალი შენობები შენდება ქალაქ დედოფლისწყაროს №1, სოფელ ოზაანის და ზემო ქედის №1 სკოლისთვის. ხოლო, სარეაბილიტაციო სამუშაოები სამთაწყაროს, მირზაანისა და არბოშიკის სკოლებში გრძელდება.

უკვე რამდენიმე კვირაა სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „საბა კონსტრაქშენი“ ასრულებს. როგორც „შირაქს“ კომპანიაში განუცხადეს, სარეაბილიტაციო სამუშაოები 8 ოქტომბრიდან დაიწყო და გეგმის მიხედვით, 2024 წლის 30 ნოემბერს უნდა დასრულდეს.

როგორც ადგილზე სტუმრობისას გავარკვიეთ, უკვე ჩამოხსნილია ორსართულიანი შენობის ძველი ფასადი, კარ-ფანჯრები. პარალელურად მიმდინარეობს შიდა სარემონტო სამუშაოებიც. როგორც ჩანს, კომპანია სამუშაოებს დაჩქარებულ რეჟიმში ახორციელებს.

„შირაქი“ სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის პედაგოგებს ესაუბრა. ასაკოვანი პედაგოგები იხსენებენ, რომ ამგვარი ძირეული რეაბილიტაცია მათ სკოლას არასოდეს ჩატარებია. ადგილობრივები სოფლის სკოლის განახლების სამუშაოებს დადებითად აფასებენ და აცხადებენ, რომ ეს სწავლების ხარისხზე და მოსწავლეთა მოტივაციაზეც დადებითად აისახება.

ელიკო ზედელაშვილი ***(სამრეკლოს სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი):*** „წლებს ზუსტად ვერ დაგისახელებთ, მაგრამ პერიოდულად პატარა სარემონტო სამუშაოები ტარდებოდა ხოლმე. ყურადღებას ნამდვილად ვგრძნობდით. ბოლო წლებში ჭერიც შეგვიცვალეს, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები დამონტაჟდა. შესასვლელში მეტლახი დაიგო, შიგნით მოწესრიგდა სველი წერტილებიც. უნდა ითქვას, რომ ცუდი ვითარება ნამდვილად არ იყო. თუმცა, ბუნებრივია შენობის ფასადი ძველი იყო და ახალი პროექტით უკეთესს ველოდებით. სამრეკლოს სკოლაში ასაკით ყველაზე უფროსი პედაგოგი მე ვარ, სტაჟიც ალბათ ყველაზე დიდი მე მაქვს. 1988 წლიდან ამ სკოლაში ვასწავლი და ასეთი ძირეული სარეაბილიტაციო სამუშაოები აქ არასოდეს ჩატარებულა. ძალიან გვიხარია და მოუთმენლად ველოდებით სამუშაოების დასრულებას. იმედია, დიდხანს არ მოგვიწევს გაკვეთილების ჩასატარებლად სხვაგან სიარული. ამ რეჟიმს თითქოს მივეჩვიეთ კიდეც. დამხვედრ სკოლაზეც პრეტენზია არ გვაქვს. მართლა კარგად გვმასპინძლობენ. ჩვენს შენობაზე სპორტული დარბაზის მაღლა ჭერთან ახლოს დიდი ციფრებით წერია, რომ შენობა 1980 წელს აშენდა. მაშინ ეგული ყოჩიაშვილი ყოფილა დირექტორი. ახალი შენობა მას ჩაუბარებია და ძველიდან ახალ სკოლაში გადაბარგებულან“.

ჯაფარიძის სკოლას ეგული ყოჩიაშვილი 1974-1996 წლებში ხელმძღვანელობდა. სკოლისა და სოფლის ისტორიას მან წიგნიც მიუძღვნა. სწორედ მან ჩაიბარა ეს ახლადაშენებული სასკოლო შენობა. როგორც ის იხსენებს, აზრთა სხვადასხვაობა იყო იმასთან დაკავშირებით, თუ სად აშენდებოდა ახალი სკოლა. ის ბევრი ფაქტის მომსწრე და მონაწილეა, ამიტომ, მისი მოგონებები საინტერესოა.

ეგული ყოჩიაშვილი: „სკოლის მატერიალური ბაზა ვეღარ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნებს. დადგა საკითხი სოფელში ახალი სასკოლო შენობის მშენებლობის შესახებ. აქტიურობა გამოიჩინეს სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ყოჩიაშვილმა და წითელწყაროს რაიალმასკომის თავმჯდომარემ ივანე ფიროსმანაშვილმა. ისინი პირადად შეხვდნენ განათლების მინისტრს, პროფესორ ოთარ ქინქლაძეს და გეგმაში ჩაასმევინეს ჯაფარიძის საშუალო სკოლის მშენებლობა. გაჭირდა სკოლისთვის ადგილის შერჩევა, რა დასამალია, გამოვლინდა საქმისადმი ტენდენციური, მიკერძოებული მიდგომა. უმჯობესი იყო ადგილი გამოძებნილიყო სოფლის ცენტრში. რაიონისა და სოფლის ხელმძღვანელობის აზრს არ ეთანხმებოდა რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნინო ბოსტოღანაშვილიც, რომ არაფერი ვთქვათ მასწავლებელთა უმრავლესობაზე. 1980 წლის 1 სექტემბერს დიდი ზეიმი იყო სოფლის გაღმა უბანში. ყველა სკოლის ახალი შენობის გახსნაზე მიიჩქაროდა. უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. გაკვეთილის მაუწყებელი პირველი ზარი დარეკეს X კლასელმა მამუკა სიმონიძემ და მოსამზადებელი ჯგუფის მოსწავლე ეკა თითილოკაშვილმა. ჯერ შვიდწლიანი სკოლა იყო, 1969 წლამდე ჯაფარიძის რვაწლიანი სკოლა, ხოლო1969-70 სასწავლო წლიდან ჯაფარიძის საშუალო სკოლაა. თუ მანამდე 22 თანამშრომელი იყო, საშუალო სკოლაში მასწავლებელთა რიცხვი 36-ს შეადგენდა“.

ეგული ყოჩიაშვილის დოკუმენტურ კრებულში „აღმართ-აღმართ აღმავალი“ მოცემულია ასევე ჯაფარიძის პირველი მასწავლებლის ქრისტინე ზურიკაშვილის მოგონებები, რომელიც 1979 წელსაა ჩაწერილი: „მუშაობა დავიწყე 1934 წლის 1 სექტემბერს, სკოლა სამოთახიან ფიცრულ შენობაში იყო. ერთ ოთახში ორი კლასი ერთად მეცადინეობდა. სოფლის მოსახლეობის 20%-მა წერა-კითხვა არ იცოდა, ამიტომ ოჯახებში ვახდენდით სწავლებას. მასწავლებლები ძალიან დატვირთულები ვიყავით. წერილები, გაზეთები და ობლიგაციებიც ჩვენ უნდა დაგვერიგებინა. მსახიობებიც ჩვენ უნდა ვყოფილიყავით და კულტურული საქმიანობაც გვეწარმოებინა“.

სოფლის მოსახლეობის ნაწილი ამბობს, რომ ყოველდღიურად ბავშვებისა და მასწავლებლების ქალაქში, სხვა სკოლის შენობაში სიარული დამატებით სირთულეებს ქმნის, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიკროავტობუსი ემსახურებათ. თუმცა, რეაბილიტაციის დადებითი შედეგის მოლოდინი ამ დისკომფორტს ამსუბუქებს.

„კარგი იქნება, თუ სამშენებლო კომპანიები ვადების დაცვით დაასრულებენ მუშაობას. ხშირად გაჭიანურდება ხოლმე რეაბილიტაციის პროცესი და დაგვეთანხმებით, ეს არ არის სასიამოვნო. მართალია ამ სამუშაოების მიზანი ძალიან კარგი საქმის კეთებაა, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შენობის გარეშე დარჩენილი სკოლა და რაიონულ ცენტრში დროებით შესახლებული სასწავლო პროცესი ბევრ სირთულეს წარმოშობს. მითუმეტეს ზამთრის ცივ სეზონზე, როცა უამინდობაა და დღის ხანგრძლივობა მოკლეა. უკვე ბნელა, როცა ბავშვები სახლში ბრუნდებიან. სხვა მხრივ მისასალმებელი საქმე კეთდება, ასეთი რემონტი აქ არ გვახსოვს, ახლა კი თანამედროვე იერსახისა და სტანდარტების შესაბამის სკოლის შენობას მივიღებთ და ამით ყველა კმაყოფილი იქნება. ბევრი რამ კეთდება ბოლო წლებში ხალხის საკეთილდღეოდ და ამის დაუნახავობა არ შეიძლება. ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან რაც მეტი ხელშეწყობა ექნება მომავალ თაობას და ახალგაზრდა ოჯახებს, მით უფრო გაძლიერდება სოფელი... სამრეკლო დიდი სოფელია და კარგია, რომ განახლების სამუშაოები დაიგეგმა. ერთი ისაა, რომ ჩვენს სოფელში სკოლისა და ბაღის შენობების აღდგენა ერთდროულად დაიწყო და ვისაც ბავშვები სკოლაშიც დაჰყავს და ბაღშიც, ასეთი ოჯახებისთვის ზედმეტად რთულია, როცა სოფელში ერთად დაიხურა სკოლაც, ბაღიც და შვილებმა ქალაქში უნდა იარონ“ — აცხადებენ სამრეკლოელები.

ილია მარტყოფლიშვილი

კონკურსის დედოფლისწყაროელი გამარჯვებული

ბულინგის თემაზე მოსწავლეებისთვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულები გასულ კვირას გამოვლინდნენ. ნახატების/პოსტერების კონკურსი ბულინგის თემაზე, გამოცხადებული იყო მედია ცენტრი კახეთი **MCK**-ის მიერ, **USAID**-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში. კონკურსის ძირითადი მიზანი იყო ბავშვებში ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ.

კახეთის რეგიონის მასშტაბით კონკურსში მონაწილეობა მიიღო 170-მა მოსწავლემ. ფინალურ ეტაპზე გამოვლინდა 4 გამარჯვებული. 3 საუკეთესო ნამუშევარი გამოავლინა ჟიურიმ, ერთი კი — სოციალური ქსელის მომხმარებელთა რჩეული გახდა.

სასიხარულოა, რომ გამარჯვებულთა შორის დედოფლისწყაროელი მოსწავლეცაა - **ელენე კოხტაშვილი**, სსიპ ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეა, რომლის ნამუშევარიც ჟიურიმ 170 ნახატში გამოარჩია და 3 საუკეთესოს შორის მოხვდა.

„ჩართულნი ვართ სამოქალაქო განათლების პროგრამაში. მაქსიმალურად ყველა პროექტში აქტიურად ვმონაწილეობთ. ამ კონკურსშიც მივიღეთ მონაწილეობა და ფინალი ჩვენთვის წარმატებული აღმოჩნდა. ჟიურიმ გამარჯვება ელენეს პოსტერს მიაკუთვნა. ელენე ძალიან ნიჭიერი და კარგი მოსწავლეა. მან წარმატებით დაამთავრა 9 კლასი და წარჩინებული სწავლისთვის კომპიუტერიც მიიღო საჩუქრად. ელენე შემოქმედებითი ნიჭითაც გამოირჩევა, საკმაოდ კარგად ხატავს. სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში არსებული ხელოვნების კლუბის წევრიცაა. მას ბევრი ნახატი აქვს და სამომავლოდ სკოლაში მისი ნამუშევრების პერსონალურ გამოფენას ვგეგმავთ, რომელიც თითქმის მზადაა“ – აცხადებს გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი ნონა ტოკლიკიშვილი.

კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეგზავნა ელექტრონული სერთიფიკატები. **USAID**-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა ხორციელდება **PH International** — საქართველოს მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) დაფინანსებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. კახეთის რეგიონში პროგრამის პარტნიორია მედია ცენტრი კახეთი **MCK**.



USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
PH international ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE
MCK

სერტიფიკატი

გადაეცემა

სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეს

ელენე კოხტაშვილი

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში
მედია ცენტრი კახეთის მიერ გამოცხადებულ
ნახატების / პოსტერების კონკურსში ბულინგის თემაზე გამარჯვებისათვის

დირექტორი
მაია მამულაშვილი

პროექტის კოორდინატორი
ლიკა ყარაულაშვილი

2023

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს ელენე კოხტაშვილს, მის პედაგოგს ნონა ტოკლიკიშვილს და ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლას ამ გამარჯვებას და კვლავ წარმატებებს უსურვებს.

ინგა შიოლაშვილი

კანონი, რომელიც ფურცელზე რჩება

„2022 წლის საანგარიშო პერიოდში სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 35 და დაშავდა 330 დასაქმებული. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი 35 პირიდან ყველა კაცია, ხოლო დაშავებულთაგან 69 ქალი და 261 კაცია“-ეს არცთუ სასიამოვნო სტატისტიკა ასახულია შრომის ინსპექციის 2022 წლის ანგარიშში.

2022 წლის ანგარიშის თანახმად, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელდა სამუშაო სივრცეში მომხდარი 113 უბედური შემთხვევის მოკვლევა. 2022 წელს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის საფუძვლით ინსპექტირება განხორციელდა 192 ობიექტზე. ციფრების მიღმა კი არიან მარჩენალდაკარგული ოჯახები და შრომისუუნარო ადამიანები.

„შრომის უსაფრთხოების“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონი სამუშაო სივრცეში მომხდარ უბედურ შემთხვევას განმარტავს, როგორც სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარ შემთხვევას, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება.

2023წლის სტატისტიკა ჯერ უცნობია, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებს სამუშაო ადგილზე გარდაცვლილთა შესახებ თუ გავითვალისწინებთ, საქართველოში ვითარება სასიკეთოდ არ შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ არსებობს და ყველა ორგანიზაცია ვალდებულია, შეუქმნას თანამშრომლებს უსაფრთხო გარემო, უბედური შემთხვევების რიცხვი არ იკლებს. საინტერესოა, რა არის საჭირო იმისთვის, რომ საქართველოში სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და ადამიანთა გარდაცვალების სტატისტიკა შემცირდეს?

ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „შირაქი“ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ზურაბ კიკილაშვილს ესაუბრება.

- განათლებით თუ ეკონომიკური კუთხით დაწინაურებულ სახელმწიფოებში მეტად იცავენ ადამიანის სამუშაო უფლებებს. ცდილობენ, დაქირავებულს უსაფრთხო და დაცული გარემო შეუქმნან, სადაც საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებას მოახერხებს. ბოლო წლებში საქართველოშიც სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა შრომის უსაფრთხოებას. დღეს საქართველო ასოცირების შესახებ შეთანხმების მხარეა და კანონმდებლობაში იმ სტანდარტების ინტეგრირებისა და აღსრულების ვალდებულება აქვს, რაც შრომის სამართალთან დაკავშირებით გაწერილია შეთანხმებაში. სამწუხაროდ, დღესაც ზოგ ბიზნესს თუ საჯარო ორგანიზაციას მიაჩნია, რომ შრომის უსაფრთხოება მხოლოდ და მხოლოდ ჩაფხუტის და ამრეკლი ჟილეტის მოხმარებაა, ზოგი ფიქრობს, რომ ეს არის დოკუმენტების დასტა, რომელიც მხოლოდ გარკვეული აღმასრულებლის შემოწმების დროს გამოიყენება, ზოგს ჰგონია, რომ შრომის უსაფრთხოება საერთოდ არ არის აქტუალური მათი ბიზნესისთვის თუ სამსახურისთვის.

წარმატებული კომპანიები კარგად იაზრებენ, რომ გარკვეული რეგულაციების უგულებელყოფა გაცილებით უფრო დიდი ზიანის მომტანია, ვიდრე ამ წესების შესრულება. დაცული სამუშაო სივრცე არის პროგრამა მინიმუმი, რომელსაც წარმატებაზე ორიენტირებული კომპანიები უნდა ასრულებდნენ. დღევანდელ დღეს ცივილიზებულ სამყაროში ბიზნესი, სადაც პირველ პრიორიტეტად შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და სტრატეგია არ არის წარმოდგენილი, ვერანაირად ვერ იქნება წარმატებული, განსაკუთრებით მომატებული საფრთხის შემცველ ინდუსტრიებში. შრომის უსაფრთხოების გამართული სისტემა ყველა ბიზნესის წარმატების საწინდარია. მისი მოქნილი და ინტეგრირებული მმართველობითი სისტემა ეხმარება ორგანიზაციას, მიაღწიოს ნულოვან ინციდენტებს სამუშაო პროცესში, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ნაკლებ სასამართლო დავებს და გადასახდელ კომპენსაციებს, შემცირებულ სადაზღვევო პრემიებს, გაუმჯობესებულ სამუშაო პროცესს და მოტივირებულ დასაქმებულებს. შეუძლებელია თანამშრომლების დიდი ხნით შენარჩუნება, თუ მათი სიცოცხლე ან ჯანმრთელობა საფრთხეშია. როგორც კი წასვლის შანსი მიეცემათ, ამას აუცილებლად გააკეთებენ. ამის მაგალითები კი უხვად გვაქვს პრაქტიკაში.

მსოფლიოში წარმატებული კომპანიების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შრომის უსაფრთხოების ციკლის შესწავლა უნდა დაიწყოს კომპანიის უმაღლესი იერარქიის წარმომადგენლებიდან (დირექტორები, მენეჯერები, სხვადასხვა სექტორის ხელმძღვანელები). ეს სისტემა არის ინტეგრირებული მართვის პრინციპზე აწყობილი და სწორედ უმაღლესი რგოლების ჩართულობას ითვალისწინებს.

შრომის უსაფრთხოების წესების შესრულების ვალდებულების 3 მოტივაცია არსებობს.

შრომის უსაფრთხოების ფუნდამენტი ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა, ჰქონდეს დაცული და ჯანსაღი სამუშაო პირობები. ის წარმოადგენს თანამშრომლის დაცვას პოტენციური დაზიანების ან უარყოფითი გავლენისგან, რომელიც მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მსოფლიოში (მათ შორის საქართველოში), უამრავი ადამიანი იღუპება მუშაობისას, იქნება ეს ინფექცია, უბედური შემთხვევა, პროფესიული დაავადებები, სტრესი და ა.შ. მათი სამუშაო სივრცეში პრევენციაა შრომის უსაფრთხოების მიზანი.

დამქირავებლის მიერ შრომის უსაფრთხოების წესების შესრულების ვალდებულების 3 მოტივაცია არსებობს:

1.ეკონომიკური — დამქირავებელი იაზრებს ნორმების უგულებელყოფის ხარჯებს. ამის გამო იცავს უსაფრთხოების ნორმებს.

2. მორალური — დამსაქმებლის თვითშეგენებაზე დაფუძნებული. უბრალოდ, თვლის, რომ ადამიანი დაცული უნდა იყოს სამუშაო გარემოში.

3. იურიდიული — კანონი ავალდებულებს დამქირავებელს შეასრულოს მითითებული წესები. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდება.

შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს:

ორგანიზაციაში კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნებას;

წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას;

საწარმოო პროცესის უწყვეტობას;

უპირატესობას საჯარო თუ კერძო ტენდერებში;

ჯარიმებისა და სასამართლო დავების თავიდან აცილებას;

დანადგარების, ხელსაწყოების, მოძრავი ტექნიკის და ზოგადად სამუშაო სივრცის დაზიანებისგან გამოწვეული ხარჯების აცილებას;

ჯანსაღ და ჯანმრთელ გარემოს;

კანონთან შესაბამისობას.

შრომის უსაფრთხოება მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

პოლიტიკა — თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებები. წერილობითი დოკუმენტი, რომ კომპანია თანახმაა აიღოს ვალდებულებები დასაქმებულის მიმართ. მაგ. დაქირავებულის სწავლების ვალდებულება.

ორგანიზება-ჰყავდეს 1 ან მეტი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან აღნიშნული მიზნით შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური.

დაგეგმვა — ორგანიზაციის შრომის უსაფრთხოების სისტემის შესაქმნელად გასატარებელი ღონისძიებები.

მონიტორინგი —შემოწმება/აუდიტი.

„შრომის უსაფრთხოება არის ყველა იმ ნორმების ერთობლიობა, რომელიც საბოლოო ჯამში, დასაქმებულს უქმნის უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს. მისი მიზანია არა მარტო თავიდან აიცილოს უბედური შემთხვევები, არამედ პროფესიული დაავადები, შრომითი საქმიანობის გამო ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მიყენება, რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური ან სხვა სახის ნარჩენებისგან გარემოს დაბინძურება და სხვ.

დამსაქმებელი ვალდებულია:

1. იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;

2. საკუთარი ხარჯებით მუშაობის პერიოდში დასაქმებული

უზრუნველყოს უბედური შემთხვევის დაზღვევით.

3. გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

4. დასაქმებული და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი უფასოდ აღჭურვოს აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით იქ, სადაც ეს აუცილებელია მათი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად და სხვა.

5. სამუშაო სივრცე მოაწყოს ისე, რომ ტვირთის ხელით აწევა იყოს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო.

ასევე, დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულთათვის დამატებით უზრუნველყოს შესაბამისი სწავლებისა და ინსტრუქტაჟის ჩატარება.

ითვლება, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აგრარული მიმართულებისაა და ამ მხრივ გასაკეთებელი ბევრი არაფერია, რადგან საფრთხეები მხოლოდ სამშენებლო სექტორსა და მძიმე მრეწველობაში არსებობს. ასეთი წარმოდგენა არასწორია. მაგალითად, თითქოს ყველაზე დაცული სფერო ჯანდაცვაა, არადა სტატისტიკით ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულ ადამიანებს აქვთ სამუშაო დაზიანებების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. რაც შეეხება აგროსფეროს, ამ მხრივაც უამრავი საფრთხე არსებობს. მაგალითად, ყველამ არ იცის, რომ დაუშვებელია სასუქის და საწვავის ერთად შენახვა და ტრანსპორტირება, რადგან შეიძლება მოხდეს აფეთქება. აფეთქება შეიძლება გამოიწვიოს ქიმიკატების სხვა კომბინაციებმაც-მაგალითად, სპირტიან ჭურჭელში წყლის გამოვლების გარეშე გოგირდის ჩაბოლებამ. ამ სფეროში გამოყენებული ჰერბიციდების, პესტიციდების, შხამების და სხვა ქიმიკატების ხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს კანის დაბზვრობა, მხედველობის დაკარგვა, მოწამვლა, გაგუდვა და სხვ. ხანძრის მიზეზი კი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ გაუმართავი ელექტროხელსაწყო ან ქსელი, არამედ მინდორში გადაგდებული შუშის ბოთლი, საწყობში ჩაყრილი მარცვლეული და სხვ. საფრთხეები არსებობს ტრაქტორებთან, კომბაინებთან და სხვა ტექნიკასთან მუშაობისას, მჭრელი ან მბრუნავი ხელსაწყოების გამოყენებისას. ცალკე აღნიშვნის ღირსია გიურზა-ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული ქვეწარმავალი. ხშირია ხანძრის შემთხვევები ნაკვეთის გადაწვისას, რომლებმაც იმსხვერპლა ისედაც მცირედ შემორჩენილი ქარსაცავი ზოლები. (ნაკვეთების გადაწვა საერთოდაც აკრძალულია, ისევე როგორც ხმელი ფოთლების დაწვა, მუნიციპალიტეტისთვის ნავთობმოპოვებითი სამუშაოები აგრეთვე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და საშიშროებებიან გარემოდ. ბევრი ადამიანია დასაქმებული სამშენებლო მასალების საამქროებში, კირქვის კარიერებში, ხორბლის, ყურძნის, რძის, ხორცის თუ სხვა ნედლეულის შენახვის,გადამუშავების და ტრანსპორტირების სექტორში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში. პროფესიული დაავადების გამოწვევა კი შეუძლია ერთი შეხედვით ისეთ „კომფორტულ“ სამუშაოს, როგორიცაა კომპიუტერთან მუშაობა. დასუფთავების თანამშრომლებიდან მხოლოდ ნაწილს აქვს წარმოდგენა იმ ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციაზე, შენახვისა და ხმარების უსაფრთხოების წესებზე, რომელთა გამოყენებაც უწევს ყოველდღიურად. მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის საევაკუაციო გეგმის კითხვა, ცეცხლმაქრებით სარგებლობა და მათი განმასხვავებელი ნიშნები, ხანძრის დროს მოქცევის წესები. ნაკლები ყურადღება ექცევა ორსულ და მეძუძურ ქალთა, შშმ და 18 წლამდელ პირთა მუშაობის პირობებს. ბევრ დაწესებულებაში არ არსებობს, ანდა ჩახერგილია საევაკუაციო გასასვლელები. სამუშაო სივრცეში არსებულ საფრთხეებზე უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის მათი ჩამონათვალი: აგრესია და ძალადობა, დახურული სივრცე, ნარკოტიკები და ალკოჰოლი, დაშინება და მუქარა, აზბესტი, ქიმიური ნივთიერებები, ავტომატიზირებული და კომპიუტერული სამუშაო ადგილები, ელექტროობა, ხანძარი, მაღლივი სამუშაოები, დალაგება/დასუფთავება, განათება, ხელით შრომა, საწარმოო სივრცე და დაზგა/დანადგარები, ხმაური, მტვერი, რადიაცია, ფეხის წამოკვრა და მოცურება, სტრესი, ტემპერატურა, ტენიანობა, მანქანები და ტრანსპორტი, ვიბრაცია და სხვ.

საქართველოს კონსტიტუცია შრომითი უფლებების შესახებ გვეუბნება, რომ შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია - ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება, ხოლო უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით 2019 წლის 1 სექტემბრიდან ახალი რეგულაციები ამოქმედდა. კერძოდ, დამსაქმებელი ვალდებულია, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით დანიშნოს ან მოიწვიოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

საქართველოს ორგანული კანონი "შრომის უსაფრთხოების შესახებ" 2019 წლის 1 სექტემბრიდან ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ ყველა ორგანიზაციაზე, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ შრომით ურთიერთობებზე.

დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს აუცილებელია ჰქონდეს გავლილი შესაბამისი აკრედიტებული პროგრამა.

მძიმეა საქართველოში სამუშაო სექტორში მომხდარი უბედური შემთხვევების სტატისტიკა. მშვიდობიან პერიოდში არ უნდა ილუპებოდეს და სახიჩრდებოდეს ადამიანი. მძიმეა ჩვენი მუნიციპალიტეტის სტატისტიკაც. ამიტომაც კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნულ პრობლემებს მაცხოვრებლების მხრიდან. მაშინ უფრო მეტად იქნება დაცული თითოეული თქვენთაგანი და მათი თანამშრომელი. ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს დანერგვა ბიზნეს სექტორში, საჯარო სამსახურებსა თუ კერძო მეურნეობებში მუნიციპალიტეტს აარიდებს უბედურ შემთხვევებს, პროფესიულ დაავადებებს, გარემოს დაბინძურებას, ეპიდემიებს, ეკოლოგიურ კატაკლიზმებს. ეს კი თავის მხრივ, ერთ-ერთი კომპონენტი იქნება იმ საქმიანობისა, რომელიც ხორციელდება მუნიციპალიტეტში მისი მაცხოვრებლების საკეთილდღეოდ.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

„თუ სწავლა გინდა, ეს ყველგანაა შესაძლებელი“

წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 5-მა დედოფლისწყაროელმა აბიტურიენტმა მოახერხა 100%-იანი დაფინანსების მოპოვება. აქედან სამი ქალაქ დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეა, ორი კი ზემო მაჩხაანის. ჩვენი მუნიციპალიტეტის მასშტაბით 70%-იანი გრანტი მოიპოვა 5-მა, ხოლო 50%-იანი 15-მა სტუდენტმა.

***„შირაქის“ ინფორმაციით, 2023 წელს სკოლა 222-მა მოსწავლემ დაამთავრა. აქედან ზაფხულში მისაღებ გამოცდებზე 132 აბიტურიენტი დარეგისტრირდა, თუმცა საბოლოო ჯამში გამსვლელი ქულების მოპოვება მხოლოდ 115-მა მოახერხა. როგორც ჩანს, წელს 17 აბიტურიენტი ჩაიჭრა და სტუდენტის სტატუსი ვერ მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის 37-მა სკოლა მედალზე დაამთავრა, (28 ოქროს, 8 ვერცხლის) ამჯერად სახელმწიფო დაფინანსება 24-მა დედოფლისწყაროელმა სტუდენტმა მოიპოვა. რაიონიდან 100-ზე მეტი მეთორმეტეკლასელი კი სტუდენტი არ გამხდარა. სტატისტიკის თანახმად, გასულ წელს 99 სტუდენტი გახდა, წელს კი 115. გასულ წელს მხოლოდ ორი 100%-იანი დაფინანსების მქონე სტუდენტი გვყავდა, წლევანდელი ნაკადი კი უფრო წარმატებული აღმოჩნდა.*

გასული წლის მსგავსად, წელსაც ყველაზე მეტი აბიტურიენტი ზემო ქედის №1 სკოლიდან ჩაიჭრა. წელსაც და შარშანაც 5—5-მა მოსწავლემ ვერ მოაგროვა გამსვლელი ქულა. ორ-ორი მოსწავლე ჩაიჭრა საბათლოს, ხორნაბუჯის, ფიროსმანისა და ზემო ქედის №2.

გაზეთი „შირაქი“ ეცდება საუკეთესო შედეგის მქონე პირველკურსელები ეტაპობრივად გაგაცნოთ და მათი ხედვებითა თუ სამომავლო გეგმებით დაინტერესდეს. პირველ რიგში დაძმა მაჩაბლიშვილების შესახებ გვინდა გიამბოთ, ნიკა და ლიკა მაჩაბლიშვილებმა 100%-იანი დაფინანსება მოიპოვეს. როგორც მათი დედა **ირმა სიყმაშვილი** ჩვენთან საუბრისას ამბობს, ლიკა ერთი წლით უმცროსია, თუმცა მაინც გადაწყვიტა შვილები ერთ კლასში შეეყვანა: ***„სკოლაში ჩვეულებრივი ბავშვები იყვნენ, განსაკუთრებულს არაფერს ავლენდნენ. ნიკა 6 წლის შევიყვანე, ლიკა კი 5-ის იყო, ასე მოხვდნენ ერთ კლასში. ლიკას ბაღში სიარული აღარ უნდოდა და საცდელად შევიყვანე სკოლაში. ვიფიქრე, თუ დაძლევდა, დავტოვებდი, თუ გაუჭირდებოდა, საბავშვო ბაღში დავაბრუნებდი. ეს შედეგი მათი თავდაუზოგავი შრომისა და მონდომების შედეგია. ბევრს მეცადინეობდნენ და დაუფასდათ. ქება გამომივა, მაგრამ გეტყვით, რომ სკოლაში კარგი მოსწავლეები იყვნენ. ყოველთვის მომზადებულები და მოწესრიგებულები მიდიოდნენ. არ იყვნენ ცელქი ან უზრდელი ბავშვები, ამას სკოლაც დაადასტურებს.“***



ამჯერად დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს და ამჟამად ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტს ლიკა მაჩაბლიშვილს ვესაუბრეთ, მისმა ძმამ ინტერვიუ არ ისურვა, ამდენად, ერთობლივი საუბარი ვერ შევძელით.

ლიკა მაჩაბლიშვილი: „ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე და მას შემდეგაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი შრომა შედეგს გამოიღებდა და 100%-იან გრანტს ავიღებდი. მიუხედავად იმისა, რომ ამას მოველოდი, საბოლოო პასუხის ნახვა მაინც ამაღელვებელი და სასიხარულო იყო ჩემთვისაც და ჩემი ახლობლებისთვისაც. მეამყება, რომ იმ 5 აბიტურიენტს შორის მე და ჩემი ძმაც ვითვლებით. ნიკა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტზე სწავლობს ტურიზმის განხრით, ხოლო მე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ასევე ტურიზმის ფაკულტეტზე. დიახ, რა თქმა უნდა, გამიხარდა, რომ მანაც მიაღწია მიზანს და წარმატებას. ცხადია, ყველას გაუხარდება თავისი დედმამიშვილის წარმატება. ჩვენი პარალელური კლასელია მესამე ასპროცენტიანი აბიტურიენტი ნიკა სიჭინავა. მე და ჩემს ძმას საერთო ის გვაქვს, რომ ორივე შრომისმოყვარეები ვართ. ერთმანეთს თითქმის ყველაფერში ვგავართ. გვაქვს მხოლოდ განსხვავებული ინტერესები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ, როცა ჩვენს დახასიათებაზე ვსაუბრობთ, ჩვენი ინტერესები, ხასიათები და ხალხთან ურთიერთობის სტილი განსხვავდება. ერთ კლასში რომ ვიარეთ ეს კარგი იყო. თუ რაიმე გაგვიჭირდებოდა, ერთმანეთს ვეხმარებოდოთ სწავლაში. ასე რომ, 12 წლის განმავლობაში გვერდში სანდო ადამიანის ყოლა ნამდვილად კარგია.

რადგანაც ნიკა სახელმწიფო უნივერსიტეტშია, სრულიად უფასოდ სწავლობს და არაფერს აღარ ვიხდით. მე კერძო უნივერსიტეტში ვარ და სახელმწიფო გრანტის გარდა კიდევ რჩებოდა გადასახადის ნაწილი, რომელიც მე უნდა დამეფარა. მაგრამ, ვინაიდან ეროვნული გამოცდების ქულებით საქართველოს მასშტაბით ტოპ 1000 მოსწავლეს შორის მოვხვდი, გადასახადის ეს დარჩენილი ნაწილიც მომეხსნა და სტიპენდიაც დამენიშნა. ასეთი შეღავათებია ჩემს უნივერსიტეტში და ვფიქრობ, ამ მხრივაც გამიმართლა.

— ***ლიკა, ვის წვლილს გამოარჩევ და ვისი მადლიერი ხარ ამ შედეგის მიღწევის გამო?***

— პირველი კლასიდანვე დავიწყე დაუზარელი შრომა და სწავლა, რაც დღემდე არ შემიწყვეტია. ამ შედეგის მიღწევაში არანაკლები დოზით დამეხმარა სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობები, იქნებოდა ეს ინგლისური ენის კონკურსი, თუ სხვა რამ. ჩემს წარმატებაში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს ჩემმა მასწავლებლებმა და რეპეტიტორებმა. ყველაზე დიდი წვლილი ჩემს განათლებაში, რა თქმა უნდა, ოჯახს მიუძღვის. მშობლები ყოველთვის მოტივაციას მაძლევდნენ და მეხმარებოდნენ, რომ სათანადო განათლება მიმეღო. სკოლაშიც ყველა მასწავლებელს თანაბარი წვლილი მიუძღვით. ხოლო დასკვნით ეტაპზე ჩემმა რეპეტიტორებმაც არ დაიშურეს ძალისხმევა და მნიშვნელოვანი ცოდნა მომცეს.

— ***ნათქვამია, სწავლის ძირი მწარე არისო, რა მსხვერპლს მოითხოვს ეს შედეგი, რაზე გიწევდა უარის თქმა ამ ხნის მანძილზე?***

— ასე კონკრეტულად რომ გამოვყო, არაფერზე არ მომიწია უარის თქმა. შეძლებისდაგვარად ისე ვანაწილებდი დროს და სწავლის პროცესს, რომ დასვენების დროც მრჩებოდა. კარგად სწავლისთვის ადამიანს უნდა ჰქონდეს მოთმინება, რადგან კარგად სწავლა დიდ დროს მოითხოვს... გამორჩეულად რაიმე ერთი ჰობი არ მაქვს, მაგრამ თავისუფალ დროს ფილმების ყურება, ან ხატვა მირჩევნია. ასევე ოჯახის საქმეებში დახმარებაც მიყვარს ხოლმე.

— ***ახლა სტუდენტობის პირველი თვეები გაქვს, როგორი აღმოჩნდა სწავლების ახალი და ყველაზე ლამაზი საფეხური?***

— გულწრფელად გითხრათ, სტუდენტობის პირველი ეტაპი ჩემთვის ცოტა დამღლელია, მაგრამ ამავდროულად საინტერესოცაა. ეცნობი ახალ ადამიანებს და იღებ სხვადასხვა გამოწვევებს, რაც სამომავლოდ კარიერულ წინსვლასა და განვითარებაში დაგეხმარება.

— ***პროფესიულ ინტერესზე ვისაუბროთ, რატომ აირჩიეთ ტურიზმის მიმართულება?***

— ვფიქრობ, რომ ტურიზმის მიმართულებით საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია. ის ამავდროულად ჩემთვის საინტერესო სფეროცაა, რადგან მიყვარს მოგზაურობა და სხვადასხვა ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების გაცნობა. ქვეყანა, რომელსაც პირველ რიგში მინდა ვესტუმრო სამხრეთ კორეაა. ვფიქრობ, მისი კულტურა და ტრადიციები საქართველოსას წააგავს და მინდა უკეთ გავეცნო მათ. სამხრეთ კორეელები სტუმართმოყვარეები არიან და უყვართ თავიანთი კულტურის სხვებისთვის გაცნობა. აქვთ ასევე ძალზე საინტერესო სამზარეულო. არ უნდა გამოგვრჩეს მათი ენა და დამწერლობა, მათ ანბანში ბევრი ქართულის მაგვარი თანხმოვანია. ასე რომ, ვფიქრობ, საქართველოსა და სამხრეთ კორეულ კულტურას შორის შეიძლება მსგავსი ასპექტების მოძებნა. მომწონს ასევე შვეიცარია, რადგან გამორჩეული ბუნება აქვს და მიზიდავს მისი მყუდრო სოფლები. ასევე ვისურვებდი ნორვეგიაში მოგზაურობას, რათა ვნახო სამყაროს ერთ-ერთი ულამაზესი მოვლენა, ჩრდილოეთის ციალი.

— ***ამ კუთხით რა პოტენციალს ხედავ მშობლიურ დედოფლისწყაროში?***

— დედოფლისწყაროში ბევრი ტურისტული სანახაობა გვაქვს, როგორებიცაა ვაშლოვანის ეროვნული პარკი, არწივის ხეობა, ტახტითეფას ტალახის ვულკანები და ა.შ. რაც ტურისტებს იზიდავს და ყოველწლიურად მათ რიცხვს ზრდის. წინსვლაც შეინიშნება ამ მხრივ, რადგან წელს განვითარდა ხორნაბუჯის ციხის მიმდებარე ტერიტორია, საფეხმავლო ბილიკი მოეწყო არწივის ხეობაში და ვფიქრობ, მომავალში ასეთი ღონისძიებების გატარებით უფრო მეტ ტურისტს მოვიზიდავთ. მიმაჩნია, რომ პერსპექტიულ მხარეში ვცხოვრობთ.

— ***თუმცა რეგიონებში მიგრაციისა და სამუშაო ადგილების დეფიციტზე ბევრს საუბრობენ. როგორ ფიქრობ, რა უნდა გაკეთდეს, რომ ახალგაზრდობა სოფლად დაბრუნდეს?***

— დედოფლისწყაროში დაბრუნებაზე რა თქმა უნდა, მეც ვფიქრობ. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ შემეძლება ჩემს რაიონში სათანადო სფეროშო დასაქმება და აქ დამკვიდრება. ვფიქრობ, რეგიონებში უნდა განვითარდეს თანამედროვე სფეროები და შეიქმნას ახალი თანამდებობები, რათა ახალგაზრდებს ჰქონდეთ სურვილი, რომ საკუთარი რეგიონის განვითარებაში წვლილი შეიტანონ და მხოლოდ საზღვარგარეთ დასაქმებაზე არ ფიქრობდნენ.

— ***სწავლა ყველგანაა შესაძლებელი, თუ განსხვავდება დედაქალაქისა და სოფლების სკოლების მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული სწავლის ხარისხი?***

— რა თქმა უნდა, სწავლა ყველგანაა შესაძლებელი, მაგრამ რაც უფრო მოწესრიგებულ და სასურველ გარემოში მიიღებ განათლებას, ცხადია მით უკეთესია მოსწავლისთვის. დანამდვილებით ვერ გეტყვით, როგორი სწავლაა თბილისის სკოლებში, მაგრამ ვისაც სწავლა სურს და მონდომებულია, ის სოფლის სკოლაშიც ისწავლის და ქალაქშიც. ვფიქრობ, ჩემს სკოლაში იყო სწავლისთვის დამაკმაყოფილებელი პირობები.

— ***შენი თაობის დადებითი და უარყოფითი მხარეებს როგორ ხედავ?***

— ჩემს თაობას რაც შეეხება, ჩემი დაკვირვებით მათი უმეტესობა მოწადინებულია და მოტივაციაც აქვთ, რომ ისწავლონ და მიზანს მიაღწიონ. ეს კი ნამდვილად დასაფასებელია. არ მომწონს ახალგაზრდების უმეტესობა მწეველი რომ არის. მინუსებზე ვრცლად ვერ ვიტყვი რაიმეს, ალბათ სიზარმაცე, ან მოტივაციის ნაკლებობა უნდა გამოვყოთ.

ესაუბრა
ილია მარტყოფლიშვილი

„უნდა ავირიდოთ არაკეთილსინდისიერად გასაჩივრების უფლების გამოყენება ჯარში გაწვევაზე“

ჩვენ უნდა ავირიდოთ არაკეთილსინდისიერად გასაჩივრების უფლების გამოყენება ჯარში გაწვევაზე - არანაირი სიახლე მრწამსთან დაკავშირებით არ შემოდის, - ამის შესახებ თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძემ ჟურნალისტებთან ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, სადაც თავდაცვის კოდექსში ცვლილებებს განიხილავენ.

მისივე თქმით, სამინისტროს საზრუნავია, რომ „მაქსიმალურად გააკონტროლოს სიტუაცია და არ აღმოჩნდეს რაიმე საკანონმდებლო ხარვეზი, რაც არაკეთილსინდისიერ ადამიანებს ჯარიდან თავს აარიდებინებს.

როგორც გიორგაძე განმარტავს, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო თავდაცვის კოდექსში ორი მიმართულებით დამატებით ცვლილებების შეტანა.

„დისტანციური სწავლების შემთხვევაში, 2025 წლიდან სტუდენტები, ვინც საზღვარგარეთ დისტანციურად სწავლობენ, შეეძლებათ სავალდებულო სამხედრო სამსახურის რამდენიმე ვარიაციიდან ერთ-ერთი აირჩიონ: 8 თვიანი, 11 თვიანი ან სტუდენტებისთვის შექმნილი პროგრამა - 4 წლის განმავლობაში ზაფხულში ერთი თვით სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა. თუ დისტანციურად სწავლობს ახალგაზრდა, მას ჯარში წასვლა შეუძლია, ჩვენ ყველანაირი საშუალება გვაქვს: ბიბლიოთეკები, ინტერნეტი, იქ ექნება მას სწავლის შესაძლებლობა. რაც შეეხება მეორე ცვლილებას. მოგეხსენებათ, სასამართლოებში საქმის განხილვები გარკვეულწილად გაჭიანურებულია და ჩვენ შემოგვაქვს ინიციატივა, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში დასრულდეს სასამართლო. კანონმდებლობით გათვალისწინებულია ჯარისგან გათავისუფლების ან გადავადების სხვადასხვა საფუძველი და თუ რომელიმე ეს საფუძველი არ არის, მოქალაქე უნდა წავიდეს ჯარში. დაახლოებით, 2-3 თვეში დასრულდება ეს პროცედურები (სასამართლო განხილვის), სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით აქვთ შესაძლებლობა, რომ თუ დაინახავს, რომ გაწვევასთან დაკავშირებით აშკარად უკანონო გადაწყვეტილებაა მიღებული, შეაჩეროს ეს გადაწყვეტილება, ვიდრე სასამართლო წარმოება არ დამთავრდება. გადავადების საფუძვლები დოკუმენტურად დამტკიცებადია, თუ ეს დოკუმენტი წარედგინება სასამართლოს და დავუშვათ არასწორად მოხდა გაწვევა, სასამართლოს საპროცესო კოდექსით აქვს შესაძლებლობა შეაჩეროს გაწვევის გადაწყვეტილება, სხვა შემთხვევაში ავირიდებთ არაკეთილსინდისიერ, ბოროტად გამოყენებულ გასაჩივრების უფლებას“, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

კითხვაზე ვიდრე სასამართლო მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, სტუდენტი აგრძელებს თუ არა სავალდებულო სამხედრო სამსახურს, მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ აგრძელებს და ეს სამართლიანია. „სამართლიანია - ჩვენ უნდა ავირიდოთ არაკეთილსინდისიერად უფლების გამოყენება გასაჩივრების, ეს არის მთავარი არსი. დანარჩენი ყველა შემთხვევაში უფლებები არის დაცული“, - განაცხადა გიორგაძემ.

ამასთან, როგორც მინისტრის მოადგილემ განაცხადა, დეზინფორმაციაა ის, რომ ადამიანმა საკუთარი რწმენა უნდა დაადასტუროს.

„დეზინფორმაციაა. არაფერი სიახლე არ შემოდის მრწამსთან დაკავშირებით, როგორც აქამდე იყო, თუ ადამიანი აცხადებს, რომ რწმენის ან სინდისის გამო ის ჯარში არ მიდის, იარაღს ხელში არ აიღებს, მას შეუძლია ალტერნატიული შრომითი სამსახური გაიაროს“, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ღვინის ეროვნული სააგენტო აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას 2024 წლიდან კიდევ უფრო მასშტაბურს გახდის

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული „ქართული ღვინის ფორუმის“ ფარგლებში, ქალაქ ჰიუსტონში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი თამთა ყველაიძე სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ვიცეპრეზიდენტ პოლ იანონს შეხვდა. მხარეებმა შეხვედრაზე 2023 წელს განხორციელებული ღონისძიებები შეაჯამეს და 2024 წლის მარკეტინგული სტრატეგია განიხილეს. „ღვინის ეროვნული სააგენტო მომავალ წელს აქტიურად გააგრძელებს აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგულ ღონისძიებებს. არსებულ მიმართულებებთან ერთად, გაძლიერდება მომხმარებელზე ორიენტირებული მედიაკამპანიები, რომლებიც გათვლილია ამერიკის ღვინის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და გაყიდვების ზრდაზე. ვგეგმავთ თანამშრომლობას ისეთ წამყვან მედიაჰოლდინგებთან და გამომცემლობებთან, როგორებიცაა CNN, Wine Enthusiast, Wine&Spirits Magazine, The New York Times და სხვა”, - აღნიშნა თამთა ყველაიძემ. „Colangelo & Partners”-ის ვიცეპრეზიდენტის, პოლ იანონის განცხადებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად იზრდება ინტერესი ქართული ღვინის მიმართ. „ჩვენი სამომავლო საქმიანობის მიზანია, გაიზარდოს ქართული ღვინის მოხმარება და, ამასთან ერთად, ის ჩამოყალიბდეს როგორც კონკურენტუნარიანი კატეგორია“, - აღნიშნა პოლ იანონმა. აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას „Colangelo & Partners“, ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან კონტრაქტის ფარგლებში, 2022 წლიდან ახორციელებს. „Colangelo & Partners“ ერთ-ერთი უმსხვილესი მარკეტინგული კომპანიაა, რომელიც ამერიკის ბაზარზე 15 წელზე მეტია ოპერირებს. მიმდინარე წელს, ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილი ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანია იმ სტრატეგიულ მიმართულებებს მოიცავდა, რამაც უნდა უზრუნველყოს ქართული ღვინის ცნობადობის და აშშ-ის ბაზარზე მოთხოვნის გაზრდა.

ენმ-ის დაპირისპირებული ფლანგების მზადება დიდი შეკრებისთვის

ენმ-ს დიდ შეკრებამდე საათებით ადრე საზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცნობია, თუ რა შინაარსის მანიფესტზე ეპატიჟება ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარტიის წევრებს, რომლებმაც ხელი უნდა მოაწერონ.

როგორც მანამდე ცნობილი გახდა, „ნაცმოძრაობა” 23 ნოემბერს “ვარდების რევოლუციის” 20 წლისთავს აღნიშნავს, ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ მათ პარტიაში შექმნილი ვითარების გამო არ ეზეიმებათ. ხელისუფლება კი საერთოდაც ამას თავხედობაში უთვლის. პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ვინც მანიფესტს ხელს არ მოაწერს, ოფიციალურად გაირიცხება. ჯერჯერობით ნიკა მელიას და მისი ფლანგის პოზიცია უცნობია, თუმცა ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ დიდი მნიშვნელობა ექნება თავად მანიფესტის ტექსტის შინაარსს, რომლის დეტალები, ამ დრომდე არავის გაუხმაურებია. ხოლო თუ ნიკანორ მელიამ და მისმა მომხრეებმა შეკრებისას დოკუმენტს ხელი არ მოაწერეს, მაშინ მანიფესტი პარტიის გამყოფი აღმოჩნდება”.

„სააკაშვილმა შეკრების წინ ვრცელი ფეისბუქ სტატუსი გამოაქვეყნა, სადაც იხსენებს თუ საიდან გაჩნდა “ნაციონალური მოძრაობის” იდეა, წერს, რომ ერთ დროს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ძალები გაერთიანდნენ, როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში. წერს, რომ “გაყალბებული არჩევნების შემდეგ, ძალები მთლიანად გაერთიანდა და “ვარდების რევოლუციაც” ამის შედეგი იყო”. “ახლაც ჩემს ფუნქციად ვხედავ მაქსიმალურად ფართო ერთობის შექმნას და ვისთანაც ამ ეტაპზე გაერთიანება ვერ ხერხდება, მათთან მოგვიანებით მისასვლელი გზის ... ზოგი გაერთიანება ახლავე მოხდება, ზოგს კი უნდა ახსოვდეს, რომ რაღაც ეტაპზე გაერთიანება გარდაუვალი იქნება. საბოლოო ჯამში, ძალა ერთობაშია!” - წერს მიხეილ სააკაშვილი.

„ნაცმოძრაობის” წევრები შავებში ჩაცმული უნდა დადიოდნენ და ლიდერის თავისუფლების აღკვეთას გლოვობდნენ და არა ტაშ-ფანდურს აწყობდნენ “ვარდების რევოლუციის” 20 წლის თავზე. რა ეზეიმებათ?! - ამის შესახებ “გირჩის”დეპუტატმა, იაგო ხვიჩიამ განაცხადა, რითაც უპასუხა კითხვას, მორალურად რამდენად სწორია “ვარდების რევოლუციის” 20 წლისთავის აღნიშვნა. ხვიჩია ფიქრობს, რომ “ნაცმოძრაობაში” ზეიმი საერთოდ შეჩერებული უნდა იყოს, ვიდრე საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ციხეში ზის”.

რაც შეეხება მმართველი პარტიის პოზიციას, “ქართული ოცნების” თავჯდომარის თქმით, “ნაცმოძრაობის” მხრიდან “ვარდების რევოლუციის” იუბილის აღნიშვნა “არის თავხედობა და მეტი არაფერი”. “ვარდების რევოლუციამ” ქვეყანას მოუტანა შემდეგი - ეს იყო ადამიანის უფლებების ხელყოფის, ადამიანის წამების, , ბიზნესის რეკეტის სისტემური პრაქტიკა, ტელევიზიების მიტაცება და სრული მონოპოლიზაცია, საქართველოს ტერიტორიების 20%-ის გადაცემა რუსეთის ფედერაციისთვის, არჩევნების ტოტალური გაყალბება და ეს ძალიან გრძელი სიაა. უამრავი ადამიანი ფიზიკურად შეეწირა “ვარდების რევოლუციის” შედეგებს. ასეთ დროს “ნაცმოძრაობის” მხრიდან “ვარდების რევოლუციის” იუბილეს აღნიშვნა არის თავხედობა და მეტი არაფერი”, - განაცხადა კობახიძემ. მისივე თქმით, “ორი კომიკური ფიგურა - აქეთ ხაბეიშვილი, იქით მელია ყოველდღიურად საზოგადოებას უზიარებენ წყენას ერთმანეთის მიმართ და ასეთ პირობებში რა მანიფესტი უშველის “ნაციონალურ მოძრაობას”. ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე აცხადებს, რომ პარტიის მომავალზე საუბრისას პირველ რიგში მნიშვნელოვანია მანიფესტის შინაარსი. მისი თქმით, თუ მელიამ ხელი არ მოაწერა, ენმ ორად გაიყოფა, თუმცა თუ მისთვის მისაღები აღმოჩნდა, მაშინ როგორც პოლიტიკოსი, განულდება”, - განაგრძობს გამოცემა.

“მანიფესტის ტექსტი საჯარო სივრცეში არავის უნახავს. ენმ-ს საათი საერთოდ გათიშულია, არაფერი იძებნება, არც მათ “ფეისბუქ” გვერდზე დევს რამე, თუ რა შინაარსის და პათოსის იქნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, თუ რა ტიპის ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე “ნაცმოძრაობის” სახით. საქმე უფრო ენმ-ს მმართველობის სტილშია, ეს არანაირად არ ჯდება იმ ჩარჩოებში, რაც დემოკრატიული ქვეყნების პარტიების მართვის სტილისთვისაა დამახასიათებელი. წარმოიდგინეთ, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, თუნდაც ერთ დროს პარტიის დამფუძნებელმა, მიხეილ სააკაშვილმა ასე ვოლუნტარულად ბრძანა, რომ პარტიის პოლისტსაბჭოს თავზე ვიღებო. ასევე მანიფესტი მოახვია თავზე, როდესაც პარტიას თავისი პოლიტსაბჭო და თავმჯდომარე ჰყავს, მათ კი არქიფო სეთურის არ იყოს, მორჩილად დაუკრეს თავი, ეს მანიფესტი მიიღეს და მასზე ხელისმოწერას აპირებენ. ამის მერე, „ნაციონალურ მოძრაობას” შეუძლია კი განაცხადოს პრეტენზია იმაზე, რომ ის დემოკრატიული პარტიაა და დემოკრატიული წესებით იმართება?”, - აცხადებს ზაალ ანჯაფარიძე.

“მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული პარტიის ყველა ატრიბუტები აქვს, ეს გაერთიანება არატრადიციული პოლიტიკური პარტიაა. ეს სექტისმაგვარი გაერთიანებაა, რომელსაც ერთი ბელადი ჰყავს და მას ყველა წევრი უსიტყვოდ ემორჩილება. ამის მერე კი ჩემთვის პირადად საინტერესო არაა, მოაწერს თუ არა მანიფეტს მელია ხელს, ან ზოგადად, ვინ მოაწერს. თუ ნიკანორ მელიამ და მისმა მომხრეებმა მანიფესტს ხელი არ მოაწერეს, მაშინ მანიფესტი პარტიის გამყოფი იქნება. მელიას ფრთას პარტიის დატოვება მოუწევს. თუ მაინც მოაწერეს ხელი, მაშინ მელიას ისედაც დიდი არაფერი რეიტინგი ჰქონდა და როგორც პიროვნება და პოლიტიკოსი განულდება. მაშინ გამოდის, რომ მთელი ეს მისი ხმაური და აჟიოტაჟი, რაც ენმ-ში არაფორმალური მმართველობის მიმართ იყო, სიყალბე ყოფილა”, - მიიჩნევს ანალიტიკოსი.

გაიყოფა თუ არა პარტია?!

გასაგებია, რომ კეზერაშვილი, მერაბიშვილი და ხაბეიშვილი არსად არც წავლენ და არც ეს კავშირები გაწყდება, რაც მათ შორის არსებობს და თუ მელიამ ეს გზა აირჩია, ეს უკვე მისი გადასაწყვეტი იქნება, ამით ის საკუთარ თავს, როგორც პოლიტიკოსს დაიმარხავს და წამოსვლის შემთხვევაში კი მცირე შანსი ჯერ კიდევ აქვს”, - დაასკვნის ზაალ ანჯაფარიძე. შავი ზღვის უნივერსიტეტის პროფესორი და ანალიტიკოსი ნიკა ჩიტაძეც ამბობს, რომ მნიშვნელოვანია თავად ტექსტის შინაარსი, და არაა გამორიცხული, რომ ის მელიასთვის მისაღები აღმოჩნდეს. “აზრები თავად პარტიაშიც გაყოფილია, ნაწილი მოითხოვს, რომ მელია პარტიაში არ იყოს, ნაწილის პოზიცია ამის საწინააღმდეგოა, თავად საპაკაშვილმაც განაცხადა, რომ ერთიანობა უნდა შენარჩუნდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას მანიფესტის ტექსტი რა შინაარსისაა, შესაძლოა მელიასთვის მისაღები იყოს და ხელი მოაწეროს, თუმცა ვნახოთ ყველაფერს შეკრებისას გავიგებთ”, - განაცხადა ნიკა ჩიტაძემ. მანიფესტის ხელმოწერის შესაძლებლობა ე. წ. მეორე ფრთის მიერ მას შემდეგ გამოირიცხა, რაც ლევან ბეჟაშვილმა ერთ-ერთ ტელეარხზე სტუმრობისას განაცხადა, რომ ამ შეკრების მიზანი რამდენიმე ადამიანის დასჯა იყო, მათ შორის ნიკა მელიას და ნუგზარ წიკლაურის.

რა მოხდება „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. როგორც ჩანს, 2024 წლის არჩევნებამდე ქართველ ამომრჩეველს ბევრი სიურპრიზი ელოდება.

ხანძარი ზემო მაჩხაანში

სოფელ ზემო მაჩხაანში, ცენტრალურ ქუჩაზე, ყოჩიაშვილების საცხოვრებელ სახლში ცეცხლი გაჩნდა. როგორც ადგილობრივები „შირაქს“ უყვებიან, 24 ნოემბერს დღის საათებში ხანძარმა საცხოვრებელი ფართი მთლიანად გაანადგურა.

თვითმხილველების ცნობით, დამწვარია სახლი, სადაც ასაკოვანი მარტოხელა ქალი ცხოვრობდა. ჯერ უცნობია, რა გახდა ხანძრის გამომწვევი მიზეზი.

თუმცა, ზემო მაჩხაანში ამბობენ, რომ დაზარალებულის მეზობლებმა ხანძრის გაჩენამდე აფეთქების ხმა გაიგეს. ადგილობრივების ცნობით, მომხდარის შედეგად ასაკოვანი ქალბატონი არ დაშავებულა.

„მარტოხელა ქალია, მთელი თავისი ნაშრომ-ნაწვალები ხანძარმა გაუნადგურა. ტრაგიკული ბედის ქალბატონია, მძიმე ცხოვრება ჰქონდა, ახლა ესეც დაატყდა თავს. წლების წინ, უბედური შემთხვევის შედეგად, ახალგაზრდა შვილი, დენის დარტყმის შედეგად გარდაეცვალა,“ – აცხადებენ ზემო მაჩხაანელები.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო სამსახურის დედოფლისწყაროს ცენტრის ეკიპაჟი. ვინაიდან ცეცხლი დღისით გაჩნდა, ფაქტს ბევრი თვითმხილველი ჰყავდა, შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების ცენტრ 112-ში სატელეფონი შეტყობინება ოპერატიულად შევიდა და დამხმარე რაზმი სოფელ ზემო მაჩხაანში დროულად მივიდა. ადგილზე ორი სახანძრო ჯგუფი მუშაობდა. თუმცა, ცეცხლი ძირითადად შენობის მეორე სართულზე იყო გავრცელებული.

სამაშველო ჯგუფის განმარტებით, იყო საფრთხე, ცეცხლი გადასულიყო მეზობლების შენობებზე, ან მათივე ეზოში მდებარე სავაჭრო ობიექტზე, თუმცა მეხანძრეთა ძალისხმევით ცეცხლის გავრცელება აღიკვეთა.

ილია მარტყოფლიშვილი

მასწავლებლების ხელფასები 2024 წლის სექტემბრის ნაცვლად ივლისიდან მოიმატებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა, სადაც პედაგოგთა სახელფასო პოლიტიკის გაუმჯობესებაზე და ამ მიმართულებით არსებულ სიახლეებზე ისაუბრა.

როგორც გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, მიმდინარეობს ცრუ, დეზინფორმაციული კამპანია, რომ თითქოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2024 წლის სექტემბრამდე არ გეგმავს მასწავლებლებისთვის ანაზღაურების ზრდას. რეალურად კი, მიმდინარეობს მუშაობა ახალი სახელფასო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, რომელიც 2024 წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდება და მის ფარგლებში მოხდება, ბოლო წლების განმავლობაში, მასწავლებელთა ანაზღაურების უპრეცედენტო ზრდა.

მინისტრის თქმით, ახალი სახელფასო პოლიტიკის თანახმად, სრულ განაკვეთზე მომუშავე მასწავლებელთა ანაზღაურება საშუალოდ 500 ლარით და მეტით გაიზრდება — ეს კი არის წელიწადში ხელფასების საშუალო მაჩვენებლის დაახლოებით 35%-იანი მატება.

“მინდა, საზოგადოებას შევახსენო, რომ 2012 წლამდე, ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლამდე, მასწავლებელთა საშუალო ხელფასი შეადგენდა 330 ლარს. დღევანდელი მონაცემებით საშუალო ხელფასი გაზრდილია თითქმის 300%-ით და შეადგენს 1230 ლარს.

მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი ზრდისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მასწავლებლები გაცილებით უფრო მაღალ ანაზღაურებას იმსახურებენ და შესამუშავებელი და შესაცვლელია ის სახელფასო ფორმულა, რაც ახლა სისტემაში გვაქვს. ჩვენი ანალიზის, კვლევებისა და მასწავლებლებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, სამინისტროში მიმდინარეობს ახალ სახელფასო ფორმულაზე მუშაობა, რომლის კონკრეტული დეტალები საზოგადოებას, როგორც უკვე აღვნიშნე, დეკემბერში გამართულ პრეზენტაციაზე საჯაროდ ეცნობება. თუმცა აქვე კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ ახალი სახელფასო კონცეფცია მოიცავს პედაგოგებისთვის ხელფასის უპრეცედენტო ზრდას და სრული დატვირთვის პირობებში ამჟამინდელ არსებულ ხელფასებთან მიმართებით, მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდა ბოლო წლების განმავლობაში იქნება უპრეცედენტო — სრულ განაკვეთზე მომუშავე მასწავლებელთა ანაზღაურება საშუალოდ 500 ლარით და მეტით გაიზრდება. ეს გახლავთ ერთ წელიწადში ხელფასების საშუალო მაჩვენებლის დაახლოებით 35%-იანი მატება, რაც მასწავლებელთა კორპუსში მრავალი წელია არ განხორციელებულა.

2024 წელს განათლების გაზრდილი ბიუჯეტის დიდი ნაწილი გამოყოფილი არის სწორედ საჯარო სკოლებში მასწავლებელთა ხელფასების გასაზრდელად. ჩვენ გვინდა მოვახდინოთ ფუნდამენტური გარდატეხა სახელფასო პოლიტიკაში და მასწავლებლებს ღირსეული ანაზღაურება შევთავაზოთ. სწორედ ამიტომ, არ წავედით უფრო მარტივი გადაწყვეტილების გზით და არ დავჯერდით იანვრიდან მასწავლებლებისთვის მხოლოდ 125-ლარიან სახელფასო მატებას. მიგვაჩნია, რომ ეს ვერ შეცვლიდა ძირეულად არსებულ სახელფასო მიდგომას. ამიტომ ჩვენ სახელფასო პოლიტიკის გადახედვის დროს, აქცენტს ხელფასის ზრდაზე გავაკეთებთ.

ასევე, სრული სიცრუეა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ხელფასების გაზრდას ვგეგმავთ 2024 წლის სექტემბრიდან. ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ სტატუსის ამაღლების შემთხვევაში, მასწავლებელს ახალი სასწავლო წლიდან, ანუ 2024 წლის სექტემბრიდან გაეზრდებოდა ხელფასი, მაგრამ ჩვენ, არ ვაპირებთ, დაველოდოთ 2024 წლის სექტემბერს და მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებისთანავე ვგეგმავთ ახალი სახელფასო ფორმულის ამოქმედებას.

მნიშვნელოვანია, რომ სისტემამ მოახდინოს ახალ სახელფასო ფორმულაზე გადასვლა. სწორედ ამ მიზნით, არსებული ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, რომელიც სრულად იქნება მიმართული მასწავლებელთა ხელფასების ზრდაზე, 2024 წლის 1-ელი ივლისიდან ამოქმედდება ახალი სახელფასო ფორმულა — ეს 6 თვის პირობებშიც კი პედაგოგებისთვის იქნება 4-ჯერ მეტი გაზრდილი შემოსავალი, 2024 წლის წლიურ ჭრილში, ვიდრე იანვრიდან გაზრდილი 125-ლარიანი დანამატი.

გვსურს, მოვუწოდოთ ყველა დაინტერესებულ მხარეს — გავერთიანდეთ ამ უპრეცედენტო და ისტორიული სახელფასო მატების რეფორმის პროცესში, რომლის მსგავსი მასწავლებლებთან დაკავშირებით აქამდე არასდროს განხორციელებულა. ეს უზრუნველყოფს ყველა მასწავლებლისთვის, მიუხედავად მათი სტატუსებისა, გაზრდილ, ღირსეულ ანაზღაურებას და ჩვენი შვილებისთვის უკეთესი, ხარისხიანი განათლების შეთავაზების შესაძლებლობას მოგვცემს”, - განაცხადა ამილახვარმა.

განათლების და მეცნიერების მინისტრი, გიორგი ამილახვარი აცხადებს, რომ პროფესიულ სასწავლებლებთან დაკავშირებით სამინისტროში კერძო სექტორის მხრიდან ძალიან ბევრი განაცხადი შედის. ამის შესახებ მან დღეს სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მინისტრი მეტი კონკრეტიკისგან თავს იკავებს, თუმცა ამბობს, რომ კერძო სექტორის დაინტერესება ძალიან დიდია.

„ძალიან ბევრი წინადადება მივიღეთ, სექტორები დაიდენტიფიცირებული გვაქვს, საუბარია რვა სექტორზე. უამრავი განაცხადი შემოგვდის. წელს ვიწყებთ მათ დამუშავებას. ველოდებით ბიუჯეტის დამტკიცებას და შემდეგი წლიდან დაიწყება აქტიური მუშაობა ე.წ. კერძო საჯარო პარტნიორობის. ძალიან დიდია კერძო სექტორის დაინტერესება და აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით. თითოეულ მიღებულ გადაწყვეტას გავასაჯაროებთ“, - განაცხადა ამილახვარმა.

სახელმწიფო კერძო სექტორს პროფესიული განათლების ხელშეწყობაში თანამშრომლობას სთავაზობს. ბიზნესს პროფესიული განათლების განვითარების ახალი ხედვაში ჩართულობისკენ გიორგი ამილახვარმაც მოუწოდა და თქვა, რომ სამინისტროს კარი 15 ნოემბრიდან ღია იქნება.

„შავი პარასკევი“ ქართულად

24 ნოემბერს „შავი პარასკევია“ და ჩვენი ქვეყანაც აჰყვა საყოველთაო ფეხის ხმას. მაღაზიებმა მასშტაბური „ფასდაკლების აქციები“ დააანონსეს. ირწმუნა ქართველმა ხალხმა მათი და მოედო მარკეტებს, პარფიუმერულ ქსელსა თუ ელექტრონიკის მაღაზიებს...

„გორგიას“ სამოგზაურო ჩემოდნების აქციამ იმდენი ხალხი მიიზიდა, გეგონებოდათ, მთელი თუ არა, ნახევარი საქართველო სადღაც მიემგზავრება, ანდა საახალწლოდ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ჯავშნის გაუქმების შიში აქვთო... მოკლედ, მაღაზიებსა თუ აფთიაქებს მილეთის ხალხი მიაწყდა იმის იმედად, რომ სერიოზულ თანხებს დაზოგავდნენ, მაგრამ, სულ ტყუილად. ეს ხომ საქართველოა, ხოლო მსოფლიო აფიორა ქართულ აფიორასთან ახლოსაც ვერ მოვა. ამჯერადაც ასე მოხდა. ბევრს იმედი გაუცრუვდა, მაგრამ სალაროსთან მისული რაღას იზამდა, გადაიხადა შეძენილი ნივთის ვითომ დაბალი ფასი, მოგვიანებით კი იმედგაცრუების შესახებ სოციალურ ქსელში დაწერა და ბრაზიც ვირტუალურად „ამოანთხია“.

„მიყვარს“ საქართველოში ე.წ. შავი პარასკევის ფასდაკლებებს განსხვავებულად რომ გვთავაზობენ... აგერ „ალტას“ 9 ლარიანი ფასდაკლება 50%-იანად მშვენივრად გაუსაღებია... (მომხმარებელი წერს, რომ იგივე პროდუქცია 6 თვის წინ 9 ლარით მეტი თანხით შეიძინა.) ონლაინშოპებმა და მარკეტებმა უფრო გაიიოლეს საქმე და გაბერილი ფასები მიაწერეს პროდუქციას. მაგალითად, 85 ლარად რომ საბნები იყიდებოდა, ახლა ფასდაკლებით 140 ლარად იყიდება... და რამდენი ჩამოვთვალო ასეთი. კიდევ უფრო „მიყვარს“ ჩემი გულუბრყვილოდ აღტყინებული ხალხი, ფასდაკლებების რიგში მდგარი რომ ხოცავს ერთმანეთს, - გაგვიშვი, გაგვატარეო...

სოციალურ ქსელში დაწერილ რამდენიმე სტატუსს უფრო მეტი კომენტარი მოჰყვა, მათ შორის დიდაქტიკური ხასიათისაც, მაგრამ მერე რა...

მომავალ წელს მადლიერების კვირას და „შავი პარასკევის“ გამოცხადებულ აქციებს კვლავ დიდი რიგები და ზედახორა მოჰყვება.

მიყვარს ქართული ფასდაკლების აქციები და „შავი პარასკევი“ ჩემს ქვეყანაში...

ისრაელსა და „ჰამასს“ შორის 4-დღიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ამოქმედდა

ადგილობრივი დროის 07:00 საათიდან ისრაელსა და „ჰამასს“ შორის 4-დღიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ამოქმედდა.

ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა The Times of Israel-ი ავრცელებს.

გამოცემა იუწყება, რომ დროებით ცეცხლის შეწყვეტამდე ღაზას სექტორის მოსაზღვრე ისრაელის ქალაქებში სარაკეტო განგაში ისმოდა, ხოლო ღაზას მასშტაბით ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ ინტენსიური დაბომბვის შესახებ ცნობები ვრცელდებოდა.

გამოცემის ცნობით, ისრაელის არმია ცეცხლის დროებით შეწყვეტამდე “ჰამასის” წინააღმდეგ მაქსიმალური პროგრესის მიღწევას ცდილობდა.

კატარელი მედიატორების ცნობით, ადგილობრივი დროით 16:00 საათზე ღაზაში 13 მძევალი გათავისუფლდება, რასაც ისრაელის ციხეებიდან გაურკვეველი რაოდენობის პალესტინელი პატიმრების გათავისუფლება მოჰყვება. ჯამში, შემდგომი 4 დღის განმავლობაში “ჰამასის” მიერ 50 მძევალი ქალისა და ბავშვის გათავისუფლება იგეგმება. ამავე პერიოდის განმავლობაში ისრაელის მიერ 150 პალესტინელი პატიმრის - ძირითადად ქალებისა და არასრულწლოვნების - გათავისუფლება იგეგმება.

„მიყვარს შემოდგომა, ოქროსკაბიანი“...

20 ნოემბერს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის მოსწავლეებმა საქართველოს კუთხეების მრავალფეროვანი ფოლკლორი, სამზარეულო და ტრადიციები წარმოადგინეს. კახეთიდან დაწყებული ჩვენი ლურჯი ზღვითა და უსასრულო სიმწვანეში ჩაფლული აფხაზეთით დამთავრებული, თითოეულმა კუთხემ თავისი ღირსება და სილამაზე წარმოაჩინა. კახური ჩურჩხელით დაწყებული მეგრული ელარჯით დამთავრებული, ყველა კუთხის კერძს შეხვდებოდით სპეციალურად მოწყობილ სტენდებზე, სადაც სხვადასხვა კლასის წარმომადგენლების ჩოხებს თბილისური ჩაცმულობა ცვლიდა, ფაფახსა და ყაბალახს- სვანური ქუდი და მოხევური წინდები.

ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი** მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, მაკა ჯანაშვილთან ერთად დაესწრო. **„საქართველოს ყველა კუთხეს გამორჩეული ხიბლი აქვს. ისინი ამას პატარა ასაკში აცნობიერებენ, რაც გულწრფელად მახარებს. ბედნიერი ვარ, როცა მათ ვუყურებ. ეს სწორედ ის თაობაა, რომელიც ერთიან საქართველოში იცხოვრებს. ეს კი ხელისუფლების სწორი, თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად აუცილებლად მოხდება“** - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„დღევანდელი ღონისძიებით კიდევ ერთხელ გაგვილამაზეს შემოდგომა წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის მოსწავლეებმა. ცალკეულ კლასებს საინტერესოდ ჰქონდათ წარმოჩენილი საქართველოს რეგიონები (კახეთი, გურია, აფხაზეთი, აჭარა, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქართლი, ფშავ-ხევსურეთი) ამ კუთხეების კულტურა, წეს-ჩვეულებები, სამზარეულო, სიმღერები და ცეკვები. საინტერესოდ იყო წარმოდგენილი ცალკეული კუთხეების იდენტურობა. მოსწავლეებმა ლხინით, ცეკვით, სიმღერით და ლექსებით შეამკეს ბარაქიანი შემოდგომა. ყველამ ვიცით, თუ რა როლი აქვს სკოლას მომავალი თაობის ზრდა-განვითარებისთვის. დღევანდელი დღეც სწორედ ამის მაჩვენებელი და ნათელი მაგალითია. ეს სკოლა გამორჩეულია შესანიშნავი ღონისძიებებითა და აქტივობებით. მადლობა თითოეულ ბავშვს, მასწავლებელს, მშობელს იმ ძალისხმევისა და გაწეული შრომისთვის, რაც ამ ღონისძიებაში ჩადეს“- აღნიშნა **მაკა ჯანაშვილმა**, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა.

„ვფიქრობ, დღევანდელი ღონისძიება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, არამარტო ჩვენთვის, წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლისთვის, არამედ თითოეული დამსწრე ადამიანისთვის, რადგან ვეცადეთ ჩვენი სამშობლო გაერთიანებული, ერთიანი წარმოგვედგინა. სასკოლო ცხოვრებაში ასევე დიდი როლი აქვს მშობელს. ამ მშვენიერი და საოცრად ორგანიზებული ღონისძიების შექმნაშიც მშობლებმა უდიდესი როლი შეასრულეს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სწორედ მშობლებს, ასეთი აქტიური ჩართულობისთვის. ყოველთვის გვეიმედებიან და ვფიქრობ, ერთად ბევრს შევძლებთ. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ სტუმარს, მობრძანებისა და ჩვენი დაფასებისთვის“ - აღნიშნა **თეა სხირტლაძემ**, წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის დირექტორმა.

„შემოდგომა წელიწადის უკანასკნელი და ყველაზე თვალწარმტაცი ღიმილიაო“ - ამბობენ და სწორედ ასეთი ღიმილიანი ღონისძიებით გააცილა ის დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატმა.

იუმორთან, მხიარულებასთან და აღმატებულ განწყობასთან ერთად, იყო სევდაც, ერთიან საქართველოში ცხოვრების ძლიერი სურვილი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გულში მოუშუშებელ იარასავით აქვს და მუდმივად თავს ახსენებს. მიუხედავად ამ სევდანარევი სიხარულისა, იმედი მაინც არსებობს, უკეთესი, ერთიან საქართველოში ცხოვრების იმედი, რასაც აუცილებლად შეძლებს მომავალი, ენერგიული, თავისუფალი, პატრიოტი თაობა.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 27.11	სამშაბათი 28.11	ოთხშაბათი 29.11	ხუთშაბათი 30.11	პარასკევი 01.12	შაბათი 02.12	კვირა 03.12
დღე	15°	8°	8°	12°	11°	9°	10°
ღამე	–1°	–3°	–1°	1°	0°	0°	0°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (კორესპონდენტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი